სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბრძანება

N1.1/ 19

ქ. თბილისი

12.02.2020 წ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რიგგარეშე მობილობით სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 55-ე და 57-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების 5^1 მუხლის მე-8 პუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რიგგარეშე მობილობით სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენის ელექტრონული ფორმა, წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს, ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსების გზით.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი. მე-12 კმ. №6), კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბიზნესის ანალიზისა და პროექტების მართვის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის - სალომე ჯაფარიძის 2020 წლის 11 თებერვლის N172993 სამსახურებრივი ბარათი.

უფროსის **დიმიტრი ბერიძე**

დანართი
დამტკიცებულია
სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის
2020 წლის 12 ივნისის N1.1/19 ბრძანებით

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ				ინფორმაცია მიმღები უსდ-ს შესახებ					ინფორმაცია თავდაპირველი უსდ-ს შესახებ
N	პირადი ნომერი	სახელი	გვარი	რეესტრის კოდი	დასახელება	საფეხურის დასახელება	პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	უსდ-ს დასახელება

უფროსი

დიმიტრი ბერიძე